



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის Nდს-შ/5-14¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

შალვა მხეიძე (სტუდენტი)

ფაქტები:

გ.ქ-სა (შემდეგში „ადვოკატი“) და თ.ჩ-ს (შემდეგში „კლიენტი“) შორის დაიდო იურიდიული მომსახურების შესახებ ზეპირი შეთანხმება, ნებისმიერი სახის წერილობითი ხელშეკრულების არსებობის გარეშე. ადვოკატსა და კლიენტს შორის გახსნილი იყო საერთო სადეპოზიტო ანგარიში, რომლის გამოყენებაც მხოლოდ ორმხრივი ხელმოწერის დადასტურებით იყო შესაძლებელი. ადვოკატი არ აწარმოებდა არც კლიენტისა და საერთო სადეპოზიტო თანხების ფინანსურ ანგარიშგებას და არც საზღაურის მიღების დოკუმენტალურ აღრიცხვას (საზღაურის მიღება დადგენილი წესით არ ხდებოდა). ადვოკატმა კლიენტს არ გადასცა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

პროცესუალური ისტორია:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის (შემდეგში „ეთიკის კომისია“) მიერ ადვოკატი დისციპლინირებულ იქნა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდეგში „აპეკ“) მე-8 მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული პროფესიული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატმა დაარღვია აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი იმის გამო, რომ იგი კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრულ და ზუსტ ჩანაწერებს არ აწარმოებდა. გარდა ამისა, კომისიამ ადვოკატის ქმედებაში აღმოაჩინა აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილის დარღვევა, რადგან ეს უკანასკნელი არ ახორციელებდა იურიდიული მომსახურებისთვის მიღებული საზღაურის მიღებას დადგენილი წესით და არც მიღებული ჰონორარის დოკუმენტალურად აღრიცხვას აწარმოებდა. ასევე, ეთიკის კომისიის მხრიდან ადვოკატის დისციპლინირება მოხდა აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევის გამო, რადგანაც ადვოკატმა კლიენტს არ გადასცა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ადვოკატი არ დაეთანხმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას და გაასაჩივრა იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში (შემდეგში „სადისციპლინო პალატა“/“პალატა“). მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება არის, ერთი მხრივ, დაუსაბუთებელი, ხოლო, მეორე მხრივ, მიღებულია პროცედურული ნორმების დარღვევით, რის გამოც ექვემდებარება გაუქმებას.

სამართლებრივი შეფასება:

სადისციპლინო პალატამ სრულად გაიზიარა ეთიკის კომისიის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივი დასაბუთება, შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა ადვოკატის საჩივარი. სადისციპლინო პალატამ აღნიშნა, რომ საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე კლიენტისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი“ ჩანაწერის წარმოების ვალდებულება გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი დოკუმენტის წარმოებას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატს საქმისწარმოების არცერთ ეტაპზე არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მისი მხრიდან ფინანსური ანგარიშგების სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ფაქტს, სადისციპლინო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატის მხრიდან დარღვეული იყო აპეკ-ის მე-

¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

8 მუხლის მე-12 ნაწილი. ასევე, სადისციპლინო პალატამ გაიზიარა ეთიკის კომისიის მსჯელობა აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილთან მიმართებით და მიიჩნია, რომ ადვოკატის მხრიდან დარღვეული იყო ხსენებული ნორმით გათვალისწინებული ვალდებულება. გარდა ამისა, სადისციპლინო პალატამ აღნიშნა, რომ აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება ვრცელდება როგორც კლიენტის, ისე ადვოკატის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებზე. იმის გამო, რომ ადვოკატმა საქმისწარმოების არცერთ ეტაპზე არ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულება, პალატამ არ გაიზიარა მისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა იყო მისი ჰონორარი და არ არსებობდა მისი დაბრუნების ვალდებულება. შესაბამისად, პალატამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მხრიდან სახეზე იყო გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების დარღვევა. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმის ეთიკის კომისიაში განხილვის დროს არსებობდა გარკვეული პროცედურული დარღვევები, თუმცა, აღნიშნული, დამტკიცების შემთხვევაშიც, ვერ გახდება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

დასკვნა:

სადისციპლინო პალატამ არ დააკმაყოფილა ადვოკატის საჩივარი და უცვლელად დატოვა ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.